

ირანის ინტერესები და პოლიტიკა სირიის სამოქალაქო ომში

ალექსანდრე გოგუა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი სანიკიძე

სრული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ალექსანდრე გოგუა

2019 წელი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ანალიზი გაუკეთოს ირანის ჩართულობას სირიის სამოქალაქო ომში, განსაზღვროს მისი პოლიტიკა და ინტერესები და ნათელი მოჰფინოს ყველა იმ მიზეზს, რამაც თეირანს კონფლიქტში ჩართვისკენ უბიძგა.

სირიის სამოქალაქო კონფლიქტი მრავლისმომცველი და კომპლექსურია, ვინაიდან , მასში არაერთი, გარე თუ შიდა აქტორია ჩართული, რომელთაც, თავის მხრივ, საკუთარი ინტერესები ამოძრავებთ.

2011 წლიდან ირანის გააქტიურებას ისტორიული საფუძვლებიც აქვს, რაც უკავშირდება ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან სირიისა და ირანის პარტნიორობას ისეთი საერთო მტრების წინააღმდეგ, როგორცაა ისრაელი და ამერიკის შეერთებული შტატები, რომელნიც აქტიურად ცდილობენ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში გავლენების მოპოვებას და ზემოთ ხსენებული ორი ქვეყნის დისკრედიტაციას.

თავის მხრივ, ირანის წინააღმდეგობა და კონფლიქტში ჩართულობა , როგორც მატერიალური, ასევე ადამიანური რესურსით, გამოწვეულია როგორც უსაფრთხოების გარანტიების მოპოვების, ასევე რეგიონში დომინანტობის სურვილით. თეირანის ეს პოზიცია კი განაპირობა მისმა საგარეო პოლიტიკამ, ახლო აღმოსავლეთში არსებულმა მზარდმა კონკურენციამ და ისლამური წესების დაცვის გამო სხვა ქვეყნებისგან რადიკალურმა განსხვავებამ ჩააყენა. სირია კი ერთადერთი არაბული ქვეყანაა, რომელიც, წლებია, მიუხედავად ბევრი განსხვავებისა, მხარს უჭერს ირანს. აღსანიშნავია, რომ ეს მისი უსაფრთხოების ინტერესებზეცაა დაფუძნებული, პარალელურად კი წყალს ასხავს ირანის მიზნებზე და ეხმარება მათ განხორციელებაში.

საკვანძო სიტყვები: სირიის სამოქალაქო ომი, ალიანსი, საგარეო პოლიტიკა, ამბოხებულები, ჰეზბოლა.

Abstract

The following research aims to analyze Iran's involvement in Syrian civil war, determine its policy and interest and find out all the causes that has led Iran to get involved in the above mentioned conflict.

Syrian war is complex and comprehensive. It brings together external as well as internal actors, each of them acting according to their own interests.

Emergence of Iran's activity in 2011 has its base in 90's history what is linked with partnership, if Iran and Syria against the common rivalries, such as the United States of America and Israel, both of them trying hard to become influential in the Middle East and to discredit the above mentioned alliance.

Iran's support for Syria with material resources and manpower derives from its necessity of having security guarantees and dominant position in the region. Tehran's above mentioned position is conditioned by its foreign policy, ongoing competition in the Middle East and following Islamic rules that makes Iran different from European countries. Despite existence of many differences between Iran and Syria, the latter is the only Arab State that keeps backing Iran. Their alliance responds to security concerns of both states and benefits them regarding achieving their political goals.

Key words: Syrian civil war, Alliance, Foreign policy, Rebels, Hizbullah.